

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე

ერთი მხრივ სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი(შემდგომში-ლიცეუმი) და მეორე მხრივ \_\_\_\_\_  
(პირადი ნომერი \_\_\_\_\_)(შემდგომში კადეტი) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი \_\_\_\_\_ პირადი ნომერი \_\_\_\_\_)(შემდგომში კადეტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) ვლებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლიცეუმის ბალანსზე რიცხული, ამ ხელშეკრულების დანართით (მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერს კადეტი) გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის (შემდგომში - სახელმძღვანელოები და დამხმარე ლტერატურა) კადეტის მშობლისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობაში გადაცემა.

**მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

1. ლიცეუმი ვალდებულია კადეტის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, დროებით სარგებლობაში გადასცეს სახელმძღვანელოები/დამხმარე ლიტერატურა.

2. ლიცეუმი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს კადეტის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სახელმძღვანელოებისათვის კადეტის ან ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული, ასევე დაკარგვით/განადგურებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით სახელმძღვანელოს /დამხმარე ლიტერატურის ჩანაცვლება იდენტური შინაარსის და რედაქციის სხვა სახელმძღვანელოთი.

ბ) მოსთხოვოს კადეტის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სახელმძღვანელოების/დამხმარე ლიტერატურის დაბრუნება:

- სასწავლო პროცესის დასრულების თარიღამდე;
- ლიცეუმის მიერ დაწესებული სემესტრული/წლიური/საშემოდგომო გამოცდის დასრულებამდე;
- ახალი სასწავლო წლის პირველი საადაპტაციო კვირის განმავლობაში.
- კადეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობის განხორციელების ან კადეტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში.

კადეტის მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წინამდებარე მოთხოვნების შეუსრულებლობისას II და III კურსის კადეტს არ მიეცემა ახალი სასწავლო წლისათვის

საჭირო სახელმძღვანელოები/დამხმარე ლიტერატურა, ხოლო III კურსის კადეტს სასწავლო წლის დასრულების შემდეგ არ მიეცემა დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსის დასრულების სერტიფიკატი.

3. კადეტის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით, მიიღოს სახელმძღვანელოები/დამხმარე ლიტერატურა.

4. კადეტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს კადეტის მიერ სახელმძღვანელოების/დამხმარე ლიტერატურის გამოყენება მხოლოდ სასწავლო პროცესის მიზნებისათვის და სახელმძღვანელოების სათანადო მოვლა-პატრონობა.

ბ) არ დაუშვას კადეტის, ასევე ნებისმიერი პირის მიერ სახელმძღვანელოების/დამხმარე ლიტერატურის გადაცემა მესამე პირისათვის.

გ) ლიცეუმს აუნაზღაუროს სახელმძღვანელოებისათვის/დამხმარე ლიტერატურისათვის კადეტის ან ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული, ასევე დაკარგვით/განადგურებით გამოწვეული ზიანი და ჩაანაცვლოს სახელმძღვანელო/დამხმარე ლიტერატურა იმავე მახასიათებლების სახელმძღვანელოთი /დამხმარე ლიტერატურით.

დ) დაუბრუნოს ლიცეუმს სახელმძღვანელოები/დამხმარე ლიტერატურა ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე, ასევე კადეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობის განხორციელების ან კადეტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, არაუმეტეს 6 ქულით მდგომარეობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის შეფასების შკალის მიხედვით.

### **მუხლი 3. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

მხარეთა შორის ყველა სადავო საკითხი გადაიჭრება მოლაპარაკების გზით. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილების შეტანა**

1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს კადეტის სტატუსის მინიჭებიდან კადეტის სტატუსის შეჩერებამდე. ამ ხელშეკრულების შეწყვეტა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს ლიცეუმის ბალანსზე რიცხული სახელმძღვანელოების/დამხმარე ლიტერატურის დაბრუნების/ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, კადეტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სახელმძღვანელოების/დამხმარე ლიტერატურის ლიცეუმისათვის დაბრუნების ან ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში.

3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სკოლა	მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი
<p>სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი</p> <p>საიდენტიფიკაციო კოდი:</p> <p>მისამართი: _____</p> <p>ტელ.: _____</p> <p>დირექტორი</p> <hr/> <p>(ხელმოწერა)</p>	<hr/> <p>პირადი № _____</p> <p>მისამართი: _____</p> <p>ტელ.: _____</p> <hr/> <p>(ხელმოწერა)</p>